საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/281-2007 „12" ოქტომბერი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 1 ოქტომბრის №421 ბრძანებულებით დამტკიცებული ს მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარედგინოს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

ა) ზაზა მეიშვილი (თავმჯდომარე) — საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

ბ) მამუკა გვარამია — საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უფროსი

გ) შორენა გუნცაძე — თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

დ) გოჩა ფერაძე — საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს უფროსი პროკურორი

ე) მორის ფუხაშვილი — თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

ვ) გიორგი ყაჯრიშვილი — საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი პროკურორი

ზ) გიორგი ჩემია — თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

თ) ირაკლი წიკლაური — საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს უფროსი

ი) ანზორ ხვადაგიანი – საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, საგარეო დაზღვევის სპეციალურ სამსახურში, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის შს სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსი

კ) ომარ ჯორბენაძე – თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე.

გიორგი ხიზანიშვილი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი